ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციურს, ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს, ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის გახსნის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლების მონაწილეობით, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი, გაიხსნება თბილისში 1971 წლის 14 მაისს დილის 10 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზეიმო სხდომაზე ჩამოსული სხვა მონაწილეების რეგისტრაცია იწარმოებს 13 მაისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში (ოთახები: 4, 7, 8; ტელეფონები: 99-58-19, 93-14-47, 93-48-96).

## დეპეშა მოსკოვიდან

თბილისი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს.

გულითადად ვულოცავთ თქვენი რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურელს, სპორტსმენს, ფიზიკური კულტურის მუშაკს, საზოგადოებრივ აქტივს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა უაღრესად ფართო განვითარება ჰპოვა.

გისურვებთ შემდგომ მიღწევებს თქვენი ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში, სპორტსმენთა ოსტატობის დონის კიდევ უფრო ამაღლებას, წარმატებას სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში და ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში.

ს. პავლოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 93 (4343)

1971 წ. 13 მაისი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## საიუბილეო გამოფენა

აპრილის დამლევს ახალქალაქის ს. შაუმიანის სახელობის კინოთეატრის ფოიეში საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი ახალქალაქის რაიონში 50 წლის მანძილზე".

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის სტენდი 35 მეტრზეა გადაჭიმული. აქ გამოკრულია 1000-ზე მეტი ფოტო, რომლებიც რაიონის სპორტული ცხოვრების სხვადასხვა დროს ასახავენ.

ფოტოგამოფენის მომზადებაში რაიონის თითქმის ყველა თაობის სპორტის მოყვარულებმა მიიღეს მონაწილეობა: ზოგმა ძველი ფოტოსურათი მოიტანა, ზოგმა მოგონება დაწერა. რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ოვანესიანმა სტენდები მხატვრულად გააფორმა.

ფოტოგამოფენა ახალქალაქელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ს. მეტრეველი,
ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.





## „საბჭოთა საქართველო 50 წლისაა"

სახლების ფოტოქრონიკაში გაიხსნა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ფოტოკორესპონდენტების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის 50 წლისთავს ეძღვნება. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ასამდე ფოტოგრაფია. ამ ნამუშევრებში ასახულია საქართველოს მშრომელთა წარმატებები, ...მაღალი კულტურა, რუსთავის დიდი ქიმია და მეტალურგია, ენგურჰესის მშენებლობა, შავი ოქროს მომპოვებელთა გარჯა... მრავალ სხვადასხვა თემასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტსაც.

• • •

სურათებზე: გ. კიკვაძისა და ტ. თევზაძის „კლდეზე მცოცავები"; ა. მაჭავარიანის „დასვენება"; გ. კიკვაძის „ფინიშთან".



როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... $19^{45}$

◆ სანტ-იაგო, 12 მაისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა კიდევ ერთ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია — ანგარიშით 97:41 სძლია ავსტრალიის ეროვნულ გუნდს.

# ფიზკულტურისა და სპორტის მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში

ჩვენი რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერებას მისი განვითარების გზაზე ამშვენებდა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, რომელთა გახსენება სავსებით კანონზომიერია დღეს, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

ამ წერილში განხილულია საბჭოთა საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზები, აღნიშნულია უმნიშვნელოვანესი შრომები და კვლევა-ძიებანი, ლაპარაკია იმ მეცნიერ-მკვლევრებსა და მეთოდისტებზე, ვინც საფუძველი ჩაუყარა, შექმნა და განავითარა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერება საქართველოში.

პირველი ცდა დაზღვეული არ იქნება ერთგვარი უზუსტობისგან, ამიტომ ავტორი მადლიერებით მიიღებს ყოველგვარ შენიშვნებს, რომელნიც შეავსებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერების განვითარების ისტორიის საკითხს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს ზეიმობენ.

ნახევარი საუკუნის მანძილზე უდიდესი ძვრები მოხდა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის, ფიზიკურ კულტურასა და სპორტშიც. ამჟამად საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა ამ დარგშიც.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერება საბჭოთა საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის მოთხოვნილებებთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. ამ საკითხის განხილვის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რა მემკვიდრეობა იქნა მიღებული ადრინდელი წლებისგან.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „პროლეტარული კულტურა არ არის უცნობი ადგილიდან მოვლენილი, არ არის ადამიანთა მონაფიქრი, რომლებიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებად ასახელებენ. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს იმ ცოდნის მარაგის განვითარება, რომელიც გამოიმუშავა კაცობრიობამ კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულეთა საზოგადოების, ჩინოვნიკების საზოგადოების უღელქვეშ".

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერება საბჭოთა საქართველოში ამ მხრივ წარმოადგენს იმ პროგრესული იდეების კანონზომიერ განვითარებას, რომლებიც უძველესი დროიდან დაწყებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდნენ ჩვენში. ქართველი მეცნიერ-მკვლევრების მიერ (გ. მერკვილაძე, მ. გორგაძე, ს. მაკალათია, ი. ჭყონია, ი. ფალიანი, ა. რობაქიძე, ნ. ზიზნიაშვილი, გ. ელაშვილი, ზ. შერაზადიშვილი, რ. ტაგანაშვილი, რ. ვახანია, ფ. აფრიდონიძე, ა. ციბაძე და სხვ.). საქართველოში საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (ძველი, საშუალო, ახალი, XVIII-XIX საუკუნეები) დასაბუთებულია ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური კულტურის მრავალი საკითხი და მათი პრაქტიკული განხორციელება, რაც საქართველოში ფიზიკური აღზრდის თავისებური თეორიის მეცნიერულ შეხედულებათა ერთგვარი მწყობრი სისტემის არსებობას ადასტურებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მთელ რიგ ნაშრომებს. ამ მხრივ ფიზიკური აღზრდის თეორიულ შეხედულებათა მეცნიერული სისტემის შექმნაში მთავარი როლი ითამაშეს XIX საუკუნის 60-80-ანი წლების ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა: „ცისკარმა", „საქართველოს მოამბემ", „დროებამ", „სასოფლო გაზეთმა", „მნათობმა", „კრებულმა", „ივერიამ", „იმედმა", „შრომამ" (ა. ციბაძე). ფიზიკური აღზრდის ქართული თეორიის შექმნისთვის და, კერძოდ, სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ი. გოგებაშვილის, ი. როსტომაშვილის, გ. ბაჭაგარიანის, ს. გოგლიჩიძის, ა. ჭიჭინაძის, ი. ფერაძის, ლ. ბოცვაძის, ა. ბალარჯიშვილის, ნ. ნიკოლაძისა და სხვა მოღვაწეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დამდეგს მოწინავე პედაგოგიკის განვითარების ორიგინალური და პროგრესული იდეები ზოგიერთ შემთხვევაში ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა რევოლუციონერ-დემოკრატების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის შრომებისა, სადაც ფიზიკური აღზრდა მიჩნეული იყო საერთო აღზრდის ნაწილად (ზ. შერაზადიშვილი, რ. ტაგანაშვილი). ფიზიკური აღზრდის და სპორტის საკითხებზე მთელი რიგი ნაშრომები გამოაქვეყნეს ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლისა" და შემდგომ საქართველოს „შევარდენის" ცალკეულმა მოღვაწეებმა. აქ თავდაპირველად ვხვდებით საქართველოში ჩამოსული ჩეხი სპეციალისტების (ა. სკოტაკი —1889-1902 წ. წ., ა. ლუკეში— 1909-1912 წ. წ.) და ქართველ მოღვაწეთა (გ. ნიკოლაძე, თ. ნიკოლაძე, დ. ჯავრიშვილი, გ. ეგნატაშვილი, ი. ლორთქიფანიძე) მასალებს ტანვარჯიშის სხვადასხვა საკითხზე, ვარჯიშთა აღწერილობას და ტექნიკის ანალიზს, ტერმინოლოგიის შემუშავებასა და დადგენას, რეკომენდაციებთან ერთად ფიზკულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებას („ტანვარჯიშობის ისტორია"—ა. ომანაძე?), ამიერკავკასიის ხალხურ სანაციონალურ თამაშებს (ზ. გულისოვი—1888 წ.), ფეხბურთის თამაშის თეორიის განმარტებას (ნ. დიუპერონი—1910 წ.), ჭრივში და საწონებით ვარჯიშის ტექნიკის ანალიზს, განმარტებებსა და დარიგებებს ტაქტიკურ მოქმედებაში (1906, 1911, 1914 წ. წ.), ტურიზმისა და მთამსვლელობის საკითხებს, რაც დაკავშირებული იყო მცირე კავკასიონის ზოგიერთი მწვერვალის დაპყრობასთან (ა. რაფალოვიჩი — 1889, ი. პასტუხოვი — 1896, მ. ფაიდენბაუმი — 1901 წ. წ.), კავკასიაში ტურიზმის განვითარების ამოცანებს (დ. ევანგულოვი), ფარიკაობაში მოქმედების ტექნიკის ანალიზისა და ტაქტიკის საკითხებს (ლ. გოლოვინი — 1918 წ.) და სხვ.

ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1911 წელს ი. მიულერის ნაშრომის „ჩემი სისტემის" ქართულ ენაზე გამოცემა, სადაც მოცემული იყო ყოველდღიური ვარჯიშები მოსახლეობისთვის. ეს ნაშრომი იმით არის განსაკუთრებული, რომ წარმოადგენდა ქართულ ენაზე ფიზკულტურის საკითხებზე გამოცემულ პირველ წიგნს. იგი თარგმნა ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა, აწ განსვენებულმა პ. ქავთარაძემ.

ტანვარჯიშული ქართული საზოგადოება „შევარდენის" დაარსებით (1918 წლის აგვისტო), რომლის სულის ჩამდგმელი და პირველი ხელმძღვანელი გ. ნიკოლაძე იყო, დაიწყო ახალი ეტაპი ფიზიკური კულტურის და სპორტის მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს „შევარდენმა" 1918-1922 წლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვადასხვა საკითხში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო აზრი, დასკვნა, მითითება და რეკომენდაცია.

თავისი ერის გაჯანმრთელებისთვის, ფიზკულტურისა და სპორტის გავრცელება-განვითარებისთვის, მთამსვლელობის დანერგვისთვის თავდადებით მოღვაწეობდა პროფესორი გიორგი ნიკოლაძე (დაწვრილებით იხ. გ. ჭოღოშვილის „ქართველი მეცნიერები". საბლიტგამი, 1951 წ. და ა. კაიშაურის მონოგრაფია „მეცნიერი-სპორტსმენი", საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1957 წ.). 1918 წელს გ. ნიკოლაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ტანვარჯიშობა საქართველოში რევოლუციის შემდეგ, როგორც მასობრივი მოვლენა". თავის დასთან თამართან და გიორგი ეგნატაშვილთან ერთად, ფიზკულტურულ-სპორტული კადრების თეორიული მომზადების ასამაღლებლად და მოსამზადებლად გ. ნიკოლაძემ 1919 წელს განათლების სამინისტროსთან გახსნა ფიზიკური აღზრდის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, სადაც სასწავლო ნაწილს გ. მერკვილაძე უფროსობდა.

მსმენელთ ეკითხებოდათ სპორტის სხვადასხვა სახეობის (უმთავრესად, ტანვარჯიშის) „სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკა, იარაღული ვარჯიშის თანწყობა, ახლად შემოღებული ტანვარჯიშობის ქართული ტერმინოლოგია, თითოეულ იარაღზე ყველა ვარჯიშის დასახელება და თვალსაჩინოებისთვის პრაქტიკული ჩვენება" (ა. კაიშაური). ამას გარდა, გ. ნიკოლაძის თაოსნობით, ვინაიდან იმ წლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ორგანო არ არსებობდა, გ. ეგნატაშვილი დაინიშნა განათლების სამინისტროში ტანვარჯიშობის ხელმძღვანელად. მას ორი თანაშემწე მიუჩინეს — ი. ლორთქიფანიძე და ა. ბაქრაძე.

აკაკი წერეთლის სახელობის სკოლაში მასწავლებლობის დროს გ. ნიკოლაძე აკვირდებოდა და სწავლობდა ბავშვის ფიზიკურ განვითარებას და ამ დარგში კვლევით მუშაობასაც აწარმოებდა. კვლევითი მუშაობის თემას და მიზანს წარმოადგენდა „სხეულის ხელოვნური განვითარების თეორიის" დამუშავება, ესე იგი „ვარჯიშობის ისეთი კანონზომიერი კომპლექსის შედგენა-გამომუშავება, რომლის შედეგად სხეულის ყველა ჯგუფის კუნთების მაქსიმალური და ჰარმონიული განვითარებაა შესაძლებელი". თანამედროვე გაგებით ეს არის სპორტსმენის ფიზიკური თვისებების განვითარების საშუალებების სისტემატიზაციის ცდა, რომელიც დღესაც ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია სპორტში წარმატების მისაღწევად. დები — თამარ ნიკოლაძე (განათლებით ფიზიოლოგი), პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა და გამოჩენილი მთამსვლელი და მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ასლანიშვილი დიდ დახმარებას უწევდნენ გ. ნიკოლაძეს, როდესაც იგი ხანგრძლივი დაკვირვებებისა და ცდების ჩატარებით დაჟინებით ეძებდა, როგორც თვითონ ამბობდა, „კუნთოვან-სახსრების მეცნიერულად სწორად განვითარებისთვის ჯერ კიდევ უცნობ, მათემატიკურად ზუსტ კლიტე-გასაღებს" (ა. კაიშაური). სამწუხაროდ, გ. ნიკოლაძის საარქივო მასალებში მის მიერ ამ თემაზე დაწერილი ნაშრომი არ აღმოჩნდა.

გ. ნიკოლაძისა და გ. ეგნატაშვილის თაოსნობით ყოველ ზაფხულს ეწყობოდა ერთი ან ორთვიანი კურსები ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადების მიზნით. აქ ტარდებოდა როგორც თეორიული (ქართული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საგნები), ისე პრაქტიკული მეცადინეობანი.

საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ფიზკულტურისა და სპორტის დარგში, ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯავრიშვილი გ. ნიკოლაძის პიროვნების დასახასიათებლად აღნიშნავდა: „გიორგი ნიკოლაძეს აინტერესებდა ყველაფერი ის, რაც ეხებოდა კულტურას და ხელს უწყობდა მის შემდგომ ზრდა-განვითარებას. როგორც ტანმოვარჯიშე, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, იგი მუდამ ზრუნავდა, რომ ამ დარგში რაღაც სიახლე შეეტანა და ამით გაემდიდრებინა ტანვარჯიშის როგორც შინაარსი, აგრეთვე ფორმა".

1922 წელს, როგორც ამას აღნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უანგარო მოღვაწე ფიზიკური აღზრდის დარგში, დამსახურებული პედაგოგი და სამამულო ფიზიკური კულტურის მნიშვნელოვანი მკვლევარი ა. კაიშაური თავის მონოგრაფიაში „მეცნიერი-სპორტსმენი", დ. ჯავრიშვილისა და გ. ნიკოლაძის ერთ-ერთი საუბრის დროს განხილული იქნა საკითხი: „რა საშუალებებით შეიძლებოდა ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშისთვის მხატვრული სახე მიგვეცა და ამით თავიდან აგვეცილებინა ერთფეროვანი, მოსაწყენი მოძრაობები".

ამას საკითხის პრაქტიკული განხორციელება მოჰყვა: დ. ჯავრიშვილი სწავლობს კლასიკური ცეკვის საწვრთნელ მასალას და ელემენტებს, შემდგომ კი ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მასალის შეგროვებას, შესწავლას და გადამუშავებას იწყებს.

„უნდა აღინიშნოს, — იგონებს დ. ჯავრიშვილი, — რომ სწორედ ამ დროიდან იწყება ჩემი მუშაობა ქორეოგრაფიის დარგში. ასეთი სახის კვლევითმა მუშაობამ იმდენად დამაინტერესა და გამიტაცა, რომ შემდგომში ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მუშაობა სპეციალობად გავიხადე".

ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წელს, საქართველოს „შევარდენმა" გამოსცა ჟურნალი „შევარდენი" (რედაქტორი ს. ასლანიშვილი, სარედაქციო კოლეგია —გ. ეგნატაშვილი, თ. ნიკოლაძე, ი. მაჭავარიანი), სადაც ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა მთელი რიგი სამეცნიერო-მეთოდური შრომები, რომელთა მნიშვნელობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერების განვითარებისთვის განუზომელია.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია ისტორიული ხასიათის შრომები, რომლებიც ძირითადად ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის" დაარსების, შეჯიბრებებისა და მის მოქმედების საკითხებს შეეხებოდა (გ. ეგნატაშვილი, ს. ასლანიშვილი, გ. ბერიძე, დ. ჯავრიშვილი, ვ. ქორქაშვილი, გ. კაკაბაძე). ტანვარჯიშს საგრძნობი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამათგან აღსანიშნავია „ტანვარჯიშის მიზანი და მნიშვნელობა" (ი. ლორთქიფანიძე), „ახალი სიტყვა ტანვარჯიშობაში" (გ. მერკვილაძე), „ქალთა და გოგონათა ტანვარჯიში" (ფ. ერბენისა, თარგმანი თ. ნიკოლაძისა), „ქანდარძე ვარჯიში" (ნ. მანოხინი), „ტან-სავარჯიშო ნოტებისათვის" (გ. მერკვილაძე).

ფიზიკური აღზრდის თეორიის ერთ-ერთი საკითხია განხილული მარიამ ხუნდაძის წერილში „მარიამ მონტესორის ქალი და ახალი აღზრდა", სადაც განმარტებულია ბავშვთა აღზრდის ახალი სისტემა მ. მონტესორის (იტალია) თანწყობის საფუძველზე. წერილს თანერთვის რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვას შენიშვნა-განმარტება აღნიშნულ საკითხზე.

სპორტის ხალხური სახეობების განმარტება და ისტორიული მიმოხილვაა მოცემული ი. ჭყონიას წერილში „ლელობურთი და ჯირითი საქართველოში".

ცალკეული სახეობების შინაარსია განმარტებული გ. ლორთქიფანიძის (ჩოგბურთი), გ. გიორგაძის (მძლეოსნობა), პ. მარღანიძის (ძალოსნობა) ნარკვევებში.

ქართული სპორტული ტერმინოლოგიის საკითხებია განხილული მ. პატარიძის ნაშრომში. საექიმო კონტროლის თემას ეძღვნება ს. ასლანიშვილის წერილი „საექიმო-ექსპერიმენტული კონტროლი ტანვარჯიშობაზე", რომელიც ასეთი ხასიათის კვლევის პირველი ცდაა ჩვენს რესპუბლიკაში (კვლევა და ექსპერიმენტი ჩატარდა 1919-1920 წლებში, ქუთაისის „შევარდენში").

ამრიგად, ზემოაღნიშნული მასალები ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე წარმოადგენდნენ მეცნიერული ხასიათის პირველ შრომებს, მეცნიერული აზრის პრაქტიკულ განხორციელებას და მისი დანერგვის პირველ ცდას. ამით ჩვენს რესპუბლიკაში სათავე დაედო ფიზკულტურასა და სპორტში მეცნიერულ მუშაობას.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

(გაგრძელება იქნება)















1925 წელს „ჭომარდობის ბიბლიოთეკის" სერიით გამოცემული ბროშურები (გადმოკეთებული მ. პატარიძის მიერ).



# სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### მატჩები, გოლები, ქულები

11 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ცსკა. საინტერესოა, რომ არმიელებს ზუსტად 10 წელია არ მოუგიათ მინსკში თამაში. უკანასკნელად აქ 2 ქულა მათ აიღეს 1961 წლის 30 მაისს. მას შემდეგ ამ ორი გუნდის შეხვედრები მინსკში შვიდჯერ ფრედ დამთავრდა და ერთხელ დინამოელებმა გაიმარჯვეს. არმიელებმა ვერ გაიმარჯვეს ამჯერადაც, თუმცა ნ. დუდარენკოს დარტყმის შემდეგ ისინი უკვე მე-8 წუთზე დაწინაურდნენ. ეს გოლი 44-ე წუთზე გაქვითა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა, მინსკელთა კაპიტანმა მალოფეევმა — 1:1. მის ანგარიშზე ახლა 6 გოლია.

პირველი მოგება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში მოსკოვის ტორპედოელებმა. მათ შინ მიიღეს „შახტიორი" და გაიმარჯვეს პაისის მიერ 88-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით — 1:0.

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 6:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ორივე გუნდს ვერა აქვს კარგად საქმე მიმდინარე ჩემპიონატში. ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში ცხაკაიელები არიან, მაგრამ არავინ მოელოდა იმას, რაც ამ მატჩში მოხდა. ზესტაფონელებმა თავიდანვე მთლიანად ხელთ აიღეს თამაშის სადავეები და უკვე შესვენებამდე გაინაღდეს დიდი ანგარიშით გამარჯვება — 4:0. შესვენების შემდეგ „ეგრისის" კარში კიდევ 2 ბურთი იქნა გატანილი.

● „ივერია" (ხაშური) — „გიგანტი" (ლაითური) 2:1. მსაჯი ზ. ნოზაძე (გორი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 4:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

მასპინძლებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი აიღეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან, რომელთაგან ერთ-ერთი მესიაჩენკომ გოლით დაამთავრა 26-ე წუთზე. შესვენების შემდეგ „ლოკომოტივის" უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ამირანაშვილმა, მარგველაშვილმა და ჩაჩუამ სამჯერ აიძულეს სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო ჭანტურიამ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 2:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

● „სამცხე" (აწყური) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

თამაში დაიწყო სტუმრების უპირატესობით: უკვე მე-9 წუთზე ჩხეტიას დარტყმის შემდეგ ბურთი „სამცხის" კარში აღმოჩნდა. მასპინძლებმა ყველა ღონეს მიმართეს მდგომარეობის გამოსასწორებლად და მიზანსაც მიაღწიეს: მეორე ტაიმში ქიქაძემ წონასწორობა აღადგინა.

● „გურია" (ლანჩხუთი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 5:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ლანჩხუთელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა თავიდანვე, თუმცა სტუმრები ენერგიულად იცავდნენ თავს. ანგარიში გახსნა პერტენავამ და მანვე კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0. პერტენავას მაგალითს მიბაძა ხარულიძემ, რომელმაც ანგარიში აიყვანა 4:0-მდე, ხოლო შავდიას ზუსტი დარტყმის შემდეგ „გურია" უკვე 5 ბურთით იყო წინ. „ქართლის" აქტივი ამ მატჩში სულ ერთმა ბურთმა (მანაგაძე) შეადგინა.

● „კახეთი" (თელავი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:2. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

თბილისელები ტექნიკურად უფრო გამართულად თამაშობდნენ და უპირატესობაც ჰქონდათ, რასაც მასპინძლები სწრაფი კონტრიერიშებით უპასუხებდნენ. ახალგაზრდა ლოკომოტიველებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას: 55-ე წუთზე ანგარიში გახსნა როლანდ ცირეკიძემ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ რომან ცირეკიძემ კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა „კახეთის" კარში.

● „ალაზანი" (გურჯაანი) — „ციხკარი" (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

● „ხქური" (წალენჯიხა) — „განთიადი" (ცხინვალი) 2:0. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

პირველ წარმატებას მიაღწიეს დინამოელებმა (დარასელია). ეს გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა თოდრიამ.

● „ვარძია" (ასპინძა) — „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი რ. გაბისონია (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

უპირატესობა „სინათლეს" ჰქონდა, რომლის თავდამსხმელმა სუხაშვილმა გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ 28-ე წუთზე ზუბოვმა თანაფარდობა აღადგინა — 1:1. ტაიმის დასასრულს „სინათლემ" მეორე წარმატებას მიაღწია კერესელიძის დარტყმის მეოხებით და შეინარჩუნა ეს ანგარიში, თუმცა შესვენების შემდეგ არმიელები ხშირად უტევდნენ და ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობაც ჰქონდათ.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სულორი" (ვანი) 0:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 4:0, „აბული" (ახალქალაქი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:2, „გარისი" (თეთრი წყარო) — „მშენებელი" (წალკა) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „შევარდენი" (თბილისი) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:2, „განთიადი" (ბორჯომი) — „მევენახე" (ვაზისუბანი, გურჯაანი) 4:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „მევენახე" (ბოლნისი) 2:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „სპარტაკი" (რუსთავი) 1:2,

#### II ზონა

„კახაბერი" (ხელვაჩაური) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „მექანიკოსი" (სამტრედია) — „განთიადი" (აბაშა) 1:0, „დინამო" (ოჩამჩირე) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სალხინო" (მაიაკოვსკი) 1:1, „კოლხეთი" (ხობი) — „განახლება" (ადიგენი) 1:1, „დინამო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:4.

შენიშვნა: II ზონის გუნდებში ვანის „სპარტაკის" ნაცვლად დაშვებულია ფოთის „კომეტა".

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 12 მაისისთვის

#### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" (თბილისი) | 14 | 12 | 0 | 2 | 24—8 | 24 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 14 | 10 | 2 | 2 | 19—8 | 22 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 13 | 9 | 3 | 1 | 26—6 | 21 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 14 | 7 | 5 | 2 | 19—15 | 19 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 8 | 2 | 4 | 25—15 | 18 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 14 | 5 | 8 | 1 | 19—12 | 18 |
| „ივერია" (ხაშური) | 14 | 6 | 5 | 3 | 17—13 | 17 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 14 | 5 | 6 | 3 | 17—15 | 16 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 13 | 6 | 3 | 4 | 15—15 | 15 |
| „ხქური" (წალენჯიხა) | 14 | 3 | 8 | 3 | 16—15 | 14 |
| „სულორი" (ვანი) | 14 | 5 | 4 | 5 | 8—8 | 14 |
| „კახეთი" (თელავი) | 14 | 4 | 6 | 4 | 9—11 | 14 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 14 | 5 | 4 | 5 | 16—20 | 14 |
| „ისანი" (თბილისი) | 14 | 3 | 7 | 4 | 11—11 | 13 |
| ასკ (თბილისი) | 12 | 4 | 4 | 4 | 17—11 | 12 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 14 | 4 | 4 | 6 | 20—16 | 12 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 14 | 4 | 4 | 6 | 17—18 | 12 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 14 | 3 | 6 | 5 | 11—16 | 12 |
| „ციხკარი" (სიღნაღი) | 14 | 2 | 8 | 4 | 8—14 | 12 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 14 | 4 | 3 | 7 | 12—16 | 11 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 14 | 3 | 4 | 7 | 7—11 | 10 |
| „განთიადი" (ცხინვალი) | 13 | 3 | 4 | 6 | 11—16 | 10 |
| „სამცხე" (აწყური) | 14 | 1 | 8 | 5 | 13—19 | 10 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 14 | 1 | 5 | 8 | 6—26 | 7 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 13 | 1 | 4 | 8 | 8—15 | 6 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 14 | 1 | 3 | 10 | 13—34 | 5 |

#### II ჯგუფი

##### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „განთიადი" (ბორჯომი) | 6 | 4 | 1 | 1 | 12—6 | 9 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 6 | 4 | 1 | 1 | 11—5 | 9 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 6 | 4 | 1 | 1 | 9—3 | 9 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 6 | 4 | 1 | 1 | 10—5 | 9 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 5 | 4 | 0 | 1 | 10—4 | 8 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) | 6 | 3 | 1 | 2 | 14—7 | 7 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—3 | 7 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 6 | 3 | 1 | 2 | 3—7 | 7 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 6 | 2 | 1 | 3 | 6—8 | 5 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 4 | 1 | 2 | 1 | 4—4 | 4 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 6 | 1 | 1 | 4 | 7—11 | 3 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 6 | 1 | 1 | 4 | 5—12 | 3 |
| „მშენებელი" (წალკა) | 4 | 1 | 0 | 3 | 4—8 | 2 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 4 | 1 | 0 | 3 | 3—7 | 2 |
| „გარისი" (თეთრი წყარო) | 6 | 1 | 0 | 5 | 5—12 | 2 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 6 | 0 | 2 | 4 | 3—10 | 2 |

##### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" (ხობი) | 6 | 5 | 1 | 0 | 21—7 | 11 |
| „სალხინო" (მაიაკოვსკი) | 5 | 4 | 1 | 0 | 12—1 | 9 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 5 | 4 | 1 | 0 | 8—3 | 9 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 5 | 4 | 0 | 1 | 13—7 | 8 |
| „კახაბერი" (ხელვაჩაური) | 6 | 3 | 2 | 1 | 9—7 | 8 |
| „განახლება" (ადიგენი) | 5 | 2 | 2 | 1 | 10—6 | 6 |
| „მექანიკოსი" (სამტრედია) | 5 | 2 | 0 | 3 | 5—9 | 4 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 6 | 1 | 2 | 3 | 7—12 | 4 |
| „დინამო" (ოჩამჩირე) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—12 | 4 |
| „კოლმეურნე" (ქედა) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—3 | 2 |
| „განთიადი" (აბაშა) | 6 | 0 | 2 | 4 | 2—10 | 2 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 5 | 0 | 1 | 4 | 3—9 | 1 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 5 | 0 | 0 | 5 | 7—21 | 0 |

# დამატებით დროში

საინტერესოდ ჩატარდა აფხაზეთის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, ტყვარჩელისა და ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი ყველა რაიონის გუნდები.

ფინალური მატჩი შედგა სოხუმის „დინამოს" სტადიონზე ადგილობრივი „ტრუდისა" და გაგრის „ტორპედოს" გუნდებს შორის (უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს თასის შარშანდელ ფინალში და მაშინ გამარჯვება წილად ხვდათ გაგრელებს).

როცა ფინალური მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა, ანგარიში იყო ფრე — 2:2. დაინიშნა დამატებითი დრო და აი, სოხუმელთა თავდამსხმელმა გაცენკომ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა ტორპედოელთა კარში—4:2. თასი „ტრუდს" ხვდა.

ვ. პოლოსიანი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სოხუმი.

# ლიდერი არ შეცვლილა

ბერლინი, 11 მაისი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ მშვიდობის XXIV ველორბოლის მონაწილეებმა კვლავ შეკაზმეს თავიანთი „ფოლადის რაშები", რათა პოლონეთის ქალაქ შჩეცინიდან ბერლინამდე 150-კილომეტრიანი ძნელი გზა გაევლოთ.

მე-10 კილომეტრზე მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრა ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი. იგი საათზე მეტ ხანს მარტო მიდიოდა, შემდეგ კი მას შეუერთდნენ ბელგიელი მ. დემეიე და უნგრელი ი. გერა.

ეს სამეული პირველი შეიჭრა ბერლინის ტრეკზე, სადაც V ეტაპის ფინიში მოეწყო. ფინიშის ხაზი პირველმა დემეიემ გადაკვეთა. იგი 21 წლისაა და მშვიდობის ველორბოლის დებიუტანტია. მეორე იყო ნელიუბინი, მესამე — გერა. სამივეს ერთნაირი შედეგი აქვს (3:40.07), მაგრამ საბონიფიკაციო დროის ჩათვლით პრიზიორებს ასეთი მაჩვენებლები გაუხდათ: დემეიეს — 3:39.07, ნელიუბინს — 3:39.37, გერას — 3:39.52. თითქმის ყველა დანარჩენი მონაწილე ფინიშთან ერთ დიდ ჯგუფად მივიდა. მათი შედეგია 3:40.22.

5 ეტაპის შემდეგ ლიდერის ყვითელ მაისურს ინარჩუნებს იტალიელი ფ. ბალდუჩი (16:33.59). II ადგილზეა ნელიუბინი — 16:35.14 (IX ადგილიდან გადმოინაცვლა), III — შარშანდელი მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებული, პოლონელი რ. შურკოვსკი. იგი ნელიუბინთან 15 წამს აგებს.

ლიდერთა ექვსეულში შედიან იტალიელი ფ. ონგარატო (უახლოეს მეტოქესთან სხვაობა — 5 წამი), ჩეხოსლოვაკიელი ა. ბოლიკი (2 წამი) და ომსკელი ი. ოსინცევი (8 წამი). საბჭოთა მრბოლელებიდან ათეულში არიან, აგრეთვე, ა. სტარკოვი (VIII ადგილი) და გ. ბელოუსოვი (X).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებენ იტალიის მრბოლელები. საბჭოთა სპორტსმენები კვლავ II ადგილზე არიან (66:22.48), ოღონდ ცოტა დაუახლოვდნენ ლიდერებს და მათთან სულ რაღაც 57 წამს აგებენ. III ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები 66:24.11.

დასვენების დღე შჩეცინში მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა ქალაქის მშრომელებთან მეგობრულ შეხვედრებში გაატარეს. სპორტსმენებს შეხვედრა მოუწყვეს შჩეცინის სავოევოდო სახალხო საბჭოში. საბჭოს თავმჯდომარემ გ. სტეფანიკმა პრემია გადასცა იტალიელ ბალდუჩის, როგორც მრბოლელს, რომელმაც ყველაზე უკეთ გაიარა პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარე ეტაპები.

# მოზარდთა შეჯიბრება

გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. მოგვყავს განვლილი ტურის შედეგები: „კოლხეთი" (ფოთი)—„ლოკომოტივი" (თბილისი) 0:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „მერცხალი" (მახარაძე) 5:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0, „განთიადი" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 0:3, „დილა" (გორი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:4, „ინტერნატი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 1:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — „დინამო" (თბილისი) 0:3.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) | 10 | 8 | 2 | 0 | 26—8 | 18 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 11 | 9 | 0 | 2 | 23—5 | 18 |
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) | 11 | 8 | 2 | 1 | 21—6 | 18 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 11 | 7 | 3 | 1 | 24—10 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 5 | 5 | 1 | 19—6 | 15 |
| „ინტერნატი" (თბილისი) | 11 | 6 | 2 | 3 | 18—11 | 14 |
| განათ. განყ. (თბილისი) | 10 | 5 | 2 | 3 | 20—8 | 12 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 11 | 2 | 5 | 4 | 6—11 | 9 |
| „განთიადი" (თბილისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 8—15 | 9 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 11 | 2 | 4 | 5 | 11—14 | 8 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 10 | 2 | 4 | 4 | 8—16 | 8 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 11 | 3 | 2 | 6 | 9—25 | 8 |
| „დინამო" (სოხუმი) | 11 | 2 | 3 | 6 | 11—15 | 7 |
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) | 11 | 2 | 3 | 6 | 6—14 | 7 |
| „დინამო" (ბათუმი) | 12 | 2 | 1 | 8 | 4—16 | 5 |
| „დილა" (გორი) | 11 | 0 | 1 | 10 | 4—38 | 1 |

# მოვუსმინოთ თვით პრეტენდენტებს

18 მაისს მოსკოვში, ვანკუვერში (კანადა), სევილიასა და კანარის კუნძულებზე (ესპანეთი) ერთდროულად დაიწყება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ოთხი მეოთხედფინალური მატჩი. ეს იქნება ერთ-ერთი დიდი მოვლენა ჩვენი პლანეტის საჭადრაკო ცხოვრებაში.

ესოდენ დიდი პაექრობის სტარტის წინ ჩვეულებრივ ჟურნალისტები და მიმომხილველები გამოთქვამენ პროგნოზებს. ამჯერად დავარღვევთ ამ ტრადიციას. დაე თვით პრეტენდენტებმა ილაპარაკონ.

ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ თითოეულ მატჩში 10 პარტია გათამაშდება. გამარჯვებისთვის საკმარისია 5,5 ქულის მოგროვება და ორთაბრძოლაც შეწყდება. ყაიმის (5:5) შემთხვევაში მატჩი გაგრძელდება ერთ-ერთი მეტოქის პირველ მოგებამდე.

მაშ, მოვუსმინოთ პრეტენდენტებს:



კორჩნოი — გელერი

**ვ. კორჩნოი (სსრ კავშირი, 40 წ.)**

„ეს უაღრესად ძნელი მატჩი უნდა იყოს. ვიმედოვნებ, რომ იგი არც გელერისთვის იქნება იოლი".

„კანდიდატთა ტურნირის წინ რომ გკითხათ ჩემთვის, ვისთან ვისურვებდი თამაშს პირველ წრეში, გელერს არა მარტო ულმანსა და ჰიუბნერს, არამედ ლარსენსაც ვამჯობინებდი".

„გელერი თითქმის ორი ათეული წელია ინარჩუნებს სპორტულ ფორმას. მას არ მოუპოვებია ისეთი შთამბეჭდავი გამარჯვებები, როგორც სპასკის, მაგრამ ყველა რანგის ტურნირში თითქმის მუდამ მეორე ან მესამე იყო".

**ე. გელერი (სსრ კავშირი, 46 წ.)**

„რა თქმა უნდა, მატჩი კორჩნოისთან ძნელი იქნება. მაგრამ იმით მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ბრძოლას ვიწყებ არა სპასკისთან, როგორც მსოფლიო პირველობის ორ წინა ციკლში" (ეს მატჩები გელერმა წააგო — თ. გ.).



ფიშერი — ტაიმანოვი

**მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი, 45 წ.)**

„ამერიკელი მოჭადრაკე ერუდირებულია, პროფესიონალია ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. მას დიდ პატივს ვცემ, მიმაჩნია დიდ, შეიძლება გენიალურ მოჭადრაკედაც. ფიშერის ბევრს ეშინია, მაგრამ ჩემთვის იგი, პირველ ყოვლისა, ადამიანია და არა ღმერთი... ბოტვინიკს მიაჩნია, რომ ფიშერთან ორთაბრძოლაში მეც მაქვს რაღაც შანსები".

„უკვე მოვასწარი ფიშერის ორასამდე პარტიის გაცნობა (სულ 500 პარტია მქონდა). დავასკვენი, რომ ხარვეზები მის თამაშსაც აქვს".

„ძალიან ძნელია იყო ფიშერის პირველი დაბრკოლება მის ბრძოლაში მსოფლიო პირველობისთვის. ამავე დროს ეს საპატიოცაა. უნდა ვთქვა, აქამდე ფიშერთან თამაში გამოვდიოდა. მართალია, ორ პარტიაში მხოლოდ



ნახევარი ქულა ხოვაგროვე, მაგრამ ორივეში უკეთესად მქონდა საქმე. ერთ-ერთ პარტიაში უარიც კი ვთქვი პოზიციის სამჯერ გამეორებაზე. შეიძლება ფიშერისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო მეტოქე არ ვიყო".

„საზღვარგარეთ ჩემს შანსებს ასეთი შეფარდებით აფასებენ: 45 55-ზე. ეს შეფარდება ხელს მაძლევს. შევეცდები სხვათა ჩემი ოპტიმიზმით შევავსო".

**რ. ფიშერი (აშშ, 28 წ.)**

„ტაიმანოვი შესანიშნავი კაცია".

„ძნელია იმის თქმა, ვინ გაიმარჯვებს პრეტენდენტთა მატჩებში და ვინ შეხვდება მატჩში მსოფლიო ჩემპიონ სპასკის. შესაძლოა, რომ ამჯერად ფინალში პირველად არ ითამაშებს ორი საბჭოთა დიდოსტატი.. ჩემი აზრით, ტაიმანოვი ჩვენს ჯგუფში ვერ დაგვამარცხებს მე და ლარსენს. ვიმედოვნებ, რომ სპასკისთან მე ან ლარსენი ვითამაშებთ მატჩს".



პეტროსიანი — ჰიუბნერი

**ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი, 42 წ.)**

„არც ერთი მიმომხილველი არ მიწინასწარმეტყველებს... წარუმატებლობას. ალბათ ჰიუბნერმა ყველა დაარწმუნა თავისი განცხადებებით, რომ მას გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს. მაგრამ ჭადრაკის დაფასთან ეს ყმაწვილი მხდალი როდია. ამაზე მისი ბევრი პარტია მეტყველებს.

არ ვიზიარებ შეხედულებას თითქოს ჰიუბნერი ყველაზე სუსტი პრეტენდენტი იყოს. იგი დამაჯერებლად შევიდა ექვსეულში. ახალგაზრდაა? გამოუცდელი? განა ერთი მეორის ანაზღაურება არ არის? როცა 22 წლისა ვიყავით, არც ჩვენი სწამდათ მაინცდამაინც. სამაგიეროდ, ჩვენ გვჯეროდა საკუთარი თავისა!

ჰიუბნერმა მოიპოვა ჭეშმარიტი სატურნირო მებრძოლის სახელი. ვეიკ-ან-ზეიში იგი ბოლო ტურშიც იბრძოდა პირველი ადგილისთვის".

**რ. ჰიუბნერი (გფრ, 22 წ.)**

„პეტროსიანთან მატჩში არავითარი შანსი არა მაქვს. ადრეც არ მქონდა იმედი, რომ ნახევარფინალში მოვხვდებოდი. ახლა მით უმეტეს, როცა კენჭისყრამ პეტროსიანს შემახვედრა. მისი სტილი ჩემთვის ძნელი დასაძლევია. გარდა ამისა, პეტროსიანს მატჩის თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. მერჩია შევხვედროდი ლარსენს, ფიშერს ან ვინმე სხვას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებ, შევეცდები გავაკეთო შეუძლებელი".



ლარსენი — ულმანი

**ბ. ლარსენი (დანია, 35 წ.)**

„ახალი მსოფლიო ჩემპიონი ბენტ ლარსენი იქნება. მე გავიმარჯვებ პრეტენდენტთა მატჩებში. ყველაზე მეტი შანსი მე და ფიშერს გვაქვს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მე გავიმარჯვებ".

**ვ. ულმანი (გდრ, 35 წ.)**

„ლარსენთან ბრძოლის წინ ბევრს ვიმუშავე. რა თქმა უნდა, ლარსენი ძალიან ძლიერია, მაგრამ ისეთი მწვავე სტილის მოჭადრაკეები, როგორიც დანიელი დიდოსტატია, მეტოქესაც გამარჯვების კარგ შანსს აძლევენ. ჩემი მიზანია ნახევარფინალს მივაღწიო".

# ტრადიციული დუელი

## „დინამო" — თბილისის ჩემპიონი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „ლოკომოტივი" — „დინამო" (8:5) 8:11.

„ლოკომოტივი": მოდებაძე, ფეტვიაშვილი, გოგორიშვილი, აიწურაძე, სანებლიძე, ნაცვლიშვილი, კორნეევი, ბენდიანიშვილი, კილასონია, ხარშილაძე, გეგეშიძე, მიქაბერიძე, ჯაფარიძე, თენგიზ რუხაძე, კაპანაძე.

„დინამო": აკოფოვი, ნაცვლიშვილი, ძამაშვილი, რეხვიაშვილი, კეთილაძე, თოფურიძე, ბუგიანიშვილი, კიზირია, სუხიშვილი, აბაშიძე, ზამიჩკინი, შარაშენიძე, ლვინიაშვილი, კეშელავა.

მსაჯი ნ. კაჭარავა.

ქართველ რეგბისტებს წლეულს ბევრი საპასუხისმგებლო ასპარეზობა ელით. ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვსა და ლენინგრადში სტარტს აიღებს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები, რომლებშიც თბილისის „ლოკომოტივი" და „დინამო" მონაწილეობენ. სწორედ დედაქალაქის ამ ორი გუნდის დავაში უნდა გარკვეულიყო თბილისის წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა.

ტრადიციული მეტოქეების შარშანდელი „რესპუბლიკური დუელი" დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს ჩემპიონი გამარჯვების შემთხვევაში თბილისის ჩემპიონობასაც მოიპოვებდა, ამიტომაც უმაღლესი ლიგის ორი წარმომადგენლის შეხვედრა ფინალურ მატჩში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

თავდაპირველად თამაში მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა. მეტოქეები ზედმეტად ფრთხილობდნენ და ძირითადად ყურადღებას დაცვას უთმობდნენ. პირველად „ლოკომოტივმა" შეუტია: არეკნით დარტყმით სცადა მიზნის მიღწევა. 32-ე წუთზე რკინიგზელმა გარემარბებმა აუტიდან მოგებული ბურთი კარგად გაათამაშეს და ხარშილაძემ შეუჩერებლივ შორიდან არეკნით დაარტყა — 3:0.

წარმატებამ „ლოკომოტივი" დაამშვიდა. მათ იერიშებში აღარ იგრძნობოდა სიმწვავე და მონდომება, და შედეგმაც არ დააყოვნა: ტაიმის მიწურულს კაპანაძემ საჯარიმო მოედნიდან უხერხულად მოიგერია ბურთი და თავდამსხმელების ნაცვლად დინამოელ ლვინიაშვილს პირდაპირ ხელებში მისცა — 3:3. რეალიზაციის გატანით კიზირიამ „დინამო" დააწინაურა — 5:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელმა აბაშიძემ კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა — დაახლოებით 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბურთი — 8:3.

იგრძნო რა წაგების საფრთხე, „ლოკომოტივი" გააქტიურდა. გუნდი ყველა ხელსაყრელ მდგომარეობას შეტევისთვის იყენებდა, მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება ველარ შეძლო. ეს განაპირობა დინამოელ მცველთა ბრწყინვალე თამაშმა. ბოლოს აბაშიძემ დაკიდებულ ბურთზე მიასწრო რკინიგზელთა მცველებს — 11:3. მსაჯმა ნ. კაჭარავამ მეტად საეჭვო ბურთი ჩათვალა. მან არ შეაჩერა თამაში, როდესაც გვერდითმა მსაჯმა „დინამოს" ერთ-ერთი წევრის თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

რკინიგზელები კვლავ აგრძელებდნენ შეტევებს. ბენდიანიშვილმა ეფექტურად გაიტანა ბურთი „დინამოს" კარში, რეალიზაცია გამოიყენა მიქაბერიძემ, მაგრამ შემდეგ „ლოკომოტივს" დრო აღარ ეყო.

თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა „დინამომ".

**ლ. რევაზიშვილი.**

ლოლა გაჯეთი სასაკვირველი კვლა იყო... 19 45

◆ ნიუ-იორკი, 12 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუშინ თავისი ამერიკული ტურნეს პირველ მატჩში სძლია სტუდენტურ გუნდს — „იუნაიტედ სტატს-კოლეჯს" — 83:82 (45:43). საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო მ. პაულაუსკასი — 22 ქულა.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 14 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) — „ქაირათი" (ალმა-ათა)

13 მაისი

დუბლშემადგენლობანი დასაწყისი 19 ს.

14 მაისი

ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 20 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 13 მაისს, აბონემენტებზე — 13 მაისს 12-დან 19 საათამდე (სტადიონის სალაროებში); საერთო გაყიდვა — 14 მაისს 10 საათიდან.

# გრწყინვალედ

ბონი, 12 მაისი. 14 წლის ავსტრალიელმა მოსწავლემ შეინ გოულდმა ორ მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა თავისუფალი სტილით ცურვაში, როცა 100 და 400 მეტრზე შესაბამისად 58,1 და 4.16,2 აჩვენა. მაგრამ რეკორდსმენის სახელს გოულდს არ მიანიჭებენ, ვინაიდან იგი 25-მეტრიან აუზში გამოდიოდა.

დასავლეთ გერმანიისა და ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრები გუნდების მატჩის სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია გ. როჯერსის მაჩვენებელი თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში (52,0) და ბ. კუპერის შედეგი ამავე დისტანციაზე გულაღმა შეჯიბრებაში — 1.00,2.

# გფრ-ის სპორტული დელეგაცია სსრ კავშირში

მოსკოვი, 11 მაისი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით დღეს აქ ჩამოვიდა გფრ-ის სპორტული კავშირის დელეგაცია მისი პრეზიდენტის ვ. კრეგელის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ჰ. გმელინი, პრეზიდიუმის წევრი ქ. ჰესი და კავშირის გენერალური მდივანი ჰ. გიზელერი.

შერემეტიევოს აეროპორტში დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი, კომიტეტის საერთაშორისო სპორტული კავშირების სამმართველოს უფროსი ვ. კოვალი და სხვა ოფიციალური პირები.

გფრ-ის დელეგაცია სსრ კავშირში ერთ კვირას დაჰყოფს. იგი გაეცნობა საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მუშაობას, გამართავს მოლაპარაკებას ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე.

დელეგაცია ესტუმრება, აგრეთვე, ლენინგრადსა და ერევანს.

# კიდევ ერთი შესარჩევი...

დუბლინი, 11 მაისი. ევროპის ჩემპიონმა — იტალიის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა კონტინენტის ახალი ჩემპიონატის VI შესარჩევი ჯგუფის კოლექტივთა თამაშებში მესამე წარმატებას მიაღწია, ამჯერად აქ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ირლანდიის ნაკრები.

იტალიელებს, რომლებსაც ახლა 6 ქულა აქვთ, წლის ბოლომდე კიდევ სამი მატჩი აქვთ ჩასატარებელი: ორი შეხვედრა — თავიანთ მთავარ მეტოქეებთან — შვედებთან და ერთიც შინ — ავსტრიელებთან.

შვედებს ორი მატჩის შემდეგ 3 ქულა დაუგროვდათ, ირლანდიელებს კი ოთხი შეხვედრის შემდეგ — მხოლოდ 1. ავსტრიელები, რომლებმაც თავიანთი პირველი მატჩი წააგეს (იტალიის ნაკრებთან), უქულოდ არიან.

ფეხბურთი